საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ისრითი

ისრითი, სოფელი ვანის მუნიციპალიტეტის დიხაშხოს თემში (იმერეთის რეგიონი), მდ. სულორის (რიონის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 300 მ, ვანიდან 6 კმ. 654 მცხ. (2014).

წყაროებში პირველად მოიხსენიება XVIII ს-ში. გვიანდ. ფეოდ. ხანაში ი. საჩინოში შედიოდა და ჩიჯავაძეთა ფეოდ. საგვარეულოს ეკუთვნოდა.

ი-ში დგას შუა ფეოდ. ხანის ვაზნარის წმ. გიორგის ერთნავიანი ეკლესია. შემორჩენილია აგრეთვე ციხესიმაგრის ნანგრევები.

თ. ბერაძე